EU4Business

შედეგების რეზიუმე 2020

საქართველო

EU4BUSINESS.EU

EU4Business

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა

EU4Business ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინიციატივაა, რომელიც აერთიანებს ევროკავშირის აქტივობებს მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში - სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა.

რა სახის მხარდაჭერას უწევს ევროკავშირი მცირე და საშუალო საწარმოებს საქართველოში?

ფინანსებზე წვდომა (A2F):

- შეღავათიანი სესხები ადგილობრივი ბანკების საშუალებით
- მიკროდაფინანსება საოჯახო ბიზნესებისთვის
- მცირე გრანტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის
- ადგილობრივ ბანკებში თანამშრომელთა გადამზადება, რათა ისინი უკეთ მოემსახურონ მცირე და საშუალო საწარმოებს
- ფინანსური წიგნიერების ტრენინგები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის

ბიზნესის განვითარების სერვისები (BDS):

- მცირე და საშუალო საწარმოებისთვის პირდაპირი კონსულტაცია და ტრენინგები
- ტრენინგი და შესაძლებლობების განვითარება ბიზნესის მხარდამჭერი ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის (BSO)
- ბიზნეს-ინკუბატორების შექმნა სტარტაპებისთვის
- ბიზნეს-კლასტერების განვითარება ურთიერთმხარდაჭერისა და განვითარებისთვის
- მთავრობისთვის მხარდაჭერის აღმოჩენა ახალი ბაზრების იდენტიფიცირების კუთხით
- ექსპორტის მხარდამჭერი ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება

ბიზნესის ხელშემწყობი გარემო (BEE):

- მარეგულირებელი რეფორმებისა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა
- გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და მარეგულირებლების შესაძლებლობების განვითარება
- საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის ხელშეწყობა
- საწარმოების ინფორმირება განხორციელებული რეფორმების და ახალი წესების/პროცედურების შესახებ

პორტფოლიო, 2019 წ.

47 პროექტი

ევროკავშირის მხარდაჭერის მთლიანი ბიუჯეტი

€328.83 მილიონი



2019 წელს მიღწეული შედეგები*

36,234 მცირე და საშუალო საწარმოს მხარდაჭერა



საწარმოს მფლობელი ქალია

31,443 ახალი სამუშაო ადგილი

+36.8% თანამშრომელთა ზრდა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ მცირე და საშუალო საწარმოებში

+14.4% მცირე და საშუალო საწარმოთა ბრუნვის ზრდა

+5.36% ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი მცირე და საშუალო მეწარმეები ჩაერთნენ ექსპორტში

+3% ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილმა მცირე და საშუალო მეწარმეებმა გაზარდეს ექსპორტი

€414.8 მილიონი

დამატებითი შემოსავალი გამოიმუშავეს მცირე და საშუალო საწარმოებმა

* მიახლოებითი ოდენობა

საქართველოში თითოეული მიმართულების ქვეშ მიღწეული შედეგები

2019 წ.

ფინანსებზე წვდომა (A2F):

2,634
მცირე და საშუალო საწარმომ მიიღო სესხები

28.5%
საწარმოები, რომელთა მფლობელი ქალია

€237,000,000
სესხების მთლიანი მოცულობა

€89,977
სესხის საშუალო ოდენობა

9
პარტნიორმა ფინანსურმა ინსტიტუტმა მიიღო მხარდაჭერა

ბიზნესის განვითარების სერვისები (BDS):

643
ბიზნესის მხარდამჭერმა ორგანიზაციამ განამტკიცა საკუთარი შესაძლებლობები

32,948
საკონსულტაციო სერვისი უზრუნველყოფილი იქნა მცირე და საშუალო საწარმოებისათვის

23.91%
საწარმოები, რომელთა მფლობელი ქალია

ბიზნესის ხელშემწყობი გარემო (BEE):

157
კანონის, პოლიტიკისა და რეგულაციის რეფორმირება

254
ღონისძიება საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის მხარდასაჭერად

143
სახელმწიფო დაწესებულებამ განამტკიცა საკუთარი შესაძლებლობები

წარმატების ისტორიები

ქართული „ინვეტ ჯგუფი“ კონკურენტულ ბიზნესს ავითარებს

„ინვეტ ჯგუფმა”, მეცხოველეობის მომსახურების ცენტრმა, EU4Business-ისა და EBRD-ის მხარდაჭერა მართვის პროგრამის შესყიდვისა და დანერგვის მიზნით მიიღო. შედეგად, კომპანიის შრომის ნაყოფიერება 40%-ით, ბრუნვა კი 20%-ით გაიზარდა. პროგრამამ, ასევე, გაამარტივა ბიზნეს საქმიანობა. კონკრეტული საქმიანობისთვის საჭირო დრო ერთი კვირიდან ერთ დღემდე შემცირდა, რამაც ადამიანური რესურსის 85%-ით მინიმიზაცია განაპირობა.

წაიკითხეთ ისტორია სრულად

საქართველოს კვების ინდუსტრიის მხარდაჭერა ახალი კორონავირუსის პანდემიის დროს

ქართულმა მეფრინველეობის კომპანიამ „ჩირინა“, რომლის პროტეინით მდიდარი ქათმის ხორცი და კვერცხი ამჟამად მოხმარების 40 პროცენტს, ხოლო წარმოების 60 პროცენტს შეადგენს, პანდემიის დროს წარმოების გაზრდა შეძლო. კომპანია EU4Business ინიციატივის მხარდაჭერას 2017 წლიდან იღებს - კერძოდ, მან მიიღო საერთაშორისო ექსპერტების მხარდაჭერა საწარმოო პროცედურების გასაუმჯობესებლად და 4 მილიონი ევროს ოდენობის სესხი.

წაიკითხეთ ისტორია სრულად

ჰიდროფონური ფერმა იმერეთში ხელს უწყობს ინოვაციებს საქართველოში

სასათბურე მეურნეობამ Imereti Greenery, რომელიც მაღალი ხარისხის ბოსტნეულს წყალში ზრდის, დაფინანსება ჰიდროფონური სათბურის გასაფართოებლად და დამატებითი აღჭურვილობის შესაძენად მიიღო. ინვესტიციასთან ერთად, საწარმომ მიიღო EBRD-ისა და ევროკავშირის ერთობლივი გრანტი, სესხის მოცულობის 15%-ის ოდენობით, და ადგილობრივი ექსპერტების ტექნიკური დახმარება. შედეგად, კომპანიამ წარმოება გაზარდა და რეგიონში ადგილობრივების დასასაქმებლად დამატებითი სამუშაო ადგილები შექმნა.

წაიკითხეთ ისტორია სრულად

მხარდაჭერა COVID-19 პანდემიის დროს

ევროკავშირი საქართველოში პანდემიასთან ბრძოლის წინა ხაზზე მყოფ სამედიცინო პერსონალს დამცავ აღჭურვილობას გადასცემს

UNDP-სა და EU4Business-ის მხარდაჭერით, კომპანიამ CaucasPack, რომელიც პლასტმასის ბოთლებსა და საკვების კონტეინერებს აწარმოებს, მრავალჯერადი გამოყენების სახის დამცავი ფარების წარმოება დაიწყო. შედეგად, კომპანიამ 99 თანამშრომლის შენარჩუნება შეძლო. CaucasPack-მა უკვე დაამზადა 7,500 სახის დამცავი ფარი, ხოლო საქართველოში სამედიცინო პერსონალს 16,000 სახის დამცავი ფარი დაურიგდა.

წაიკითხეთ ისტორია სრულად

მხარდაჭერა COVID-19 პანდემიის დროს

ევროკავშირის მხარდაჭერით, საქართველოში 40,000 სამედიცინო ხალათი იწარმოება

საქართველოში დამცავი აღჭურვილობის უკმარისობის გათვალისწინებით, EU4Business-ისა და GIZ-ის დახმარებით, სამედიცინო ტექსტილის მწარმოებელმა კომპანიამ Doctor Goods 12 ახალი საკერავი მანქანა შეიძინა. შედეგად, სამჯერ გაიზარდა კომპანიის სიმძლავრე, რამაც Doctor Goods-ს საშუალება მისცა, ერთ კვირაში 40,000 სამედიცინო ხალათი ეწარმოებინა.

წაიკითხეთ ისტორია სრულად

მხარდაჭერა COVID-19 პანდემიის დროს

ელექტრონული კომერციის მხარდაჭერა საქართველოში

სუპერმარკეტი „ჯორჯიტა“ მომხმარებლებს სთავაზობს ონლაინ გაყიდვებსა და მიტანის მომსახურებას თბილისში და ქალაქის შემოგარენში, რაც განსაკუთრებით დროულია კორონავირუსის პანდემიის დროს. რამოდენიმე წლის წინ, EU4Business და EBRD კომპანიას ელექტრონული პლატფორმისა და მობილური აპლიკაციის შექმნაში დაეხმარა.

წაიკითხეთ ისტორია სრულად

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ:

EU4BUSINESS.EU